საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მზი

მზი, ტბა აფხაზეთის არ-ის გუდაუთის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს აწითაქუს ქედის ჩრდ. კალთაზე. ზ. დ. 2053 *მ*. აუზის ფართობი – 0.8 *კმ*^{2}, უდიდესი სიღრმე – 11,5 *მ*. ქვაბული წარმოადგენს მყინვარულ ცირკს. გეგმაში მას მართკუთხედის ფორმა აქვს. სანაპირო ხაზი სუსტადაა შეჭრილ-შემოჭრილი. საზრდოობს თოვლის ნადნობი, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. ტბიდან გამოედინება მდ. მზიმნა (მდ. ავადჰარის მარჯვ. შენაკადი). წყლის დონე ტბაში მაღალია გაზაფხულ-ზაფხულში, დაბალი – ზამთარში. სუსტად მინერალიზებულ ტბის წყალში ბინადრობს კალმახი. შემოგარენი ღარიბია მცენარეულობით.